პარასკევი, 1917 წ. გიორგობისთვის 3 (16) № 243
წელიწადი მესამე

პარასკევი, 1917 წ. გიორგობისთვის 3 (16) № 243
ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

გაზეთში დასაბეჭდი მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კ ო ნ ტ ო რ ა

გაზეთის ფასი პირველ გიორგობისთვიდან წლის დამლევამდე 6 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^{1}/_{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## გაზეთის შინაარსი

### წ ნ ო ბ ე ბ ი დ ა ნ

უკანასკნელ ცნობებით კერენსკის რაზმი დაუტოვებია; არ იციან თუ სად იმყოფება იგი.—დროებით უმაღლეს მთავარ სარდლად დუხონინი დამდგარა.—პოლიტიკურ პარტიებს ახალ დროებით მთავრობის შესადგენად მოლაპარაკება გაუმართავთ.—ვენდენისა და ვიტებსკის საველე ტელეგრაფი ბოლშევიკებმა გაანთავისუფლეს.

### წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

**ვასილ წერეთელი.** დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის.

**ტიტე ტაბიძე.** ქართულ-ფრანგული კომიტეტი.

**დ. კასრაძე.** ლუნაჩარსკი (ძველი შთაბეჭდილებიდან).

**გრიგოლ რობაქიძე.** დიონისოს კულტი და საქართველო.

**ფელიქსი.** „Вокругъ да около“, პატარა ფელეტონი.

**ირაკლი ამირეჯიბი.** შიმშილის მოლოდინში.

**შ. ალხაზიშვილი.** ქართული გიმნაზია ჯავახეთში.

**დ. კალანდაძე.** ხალხის ჯანმრთელობისთვის.

**ზ. ბ—ლი.** საქონლის ჭირი დასავლეთ საქართველოში.

**კორესპოდენცია.** ზუგდიდიდან.

სომეხთა ეროვნულ საბჭოს მოწოდება.

დებულება დამფუძნებელი კრებისათვის.

# მანუფაქტურა

ორშაბათიდან, (გიორგობისთვის 6-იდან) სასურსათო გამგეობა შეუდგება მანუფაქტურის განაწილებას. ამასთან მიღებულია ზომები მცხოვრებთა მანუფაქტურით უზრუნველ საყოფად. მანუფაქტურის მიღების დროს საჭიროა წესრიგის დაცვა და გამგეობის მიერ აღნიშნულ წესების ასრულება.

უამისოდ მანუფაქტურის სწორედ და სამართლიანად განაწილება შეუძლებელია.

მანუფაქტურის მიღება შეიძლება მხოლოდ სასურსათო ბარათებით.

მოქალაქენო და ამხანაგო ჯარისკაცებო! თუ ბარათები არა გაქვთ ნუ ჩასდგებით რიგში. მიაწოდეთ სწორე ცნობები, იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი, რამდენი დედაკაცი და რამდენი ბავშვია თქვენს ოჯახში.

ამხანაგო ჯარისკაცებო! ნუ დაარღვევთ საგანგებო „ჯარისკაცთა“ რიგებს. ეს, ამხანაგებო, შეუწყნარებელია.

## მანუფაქტურის მიღების წესები.

1. მანუფაქტურის სასყიდლად ყოველ მანუფაქტურულ მაღაზიაში უნდა წარადგინოთ სასურსათო ბარათი და საგანგებო ბლანკზე უნდა აღნიშნოთ თქვენი ოჯახის შემადგენლობა. შემდეგ რიგით უნდა აღინიშნოს:
   ა) მამაკაცთა რიცხვი. ბ) დედაკაცთა რიცხვი.
   გ) ბავშვთა რიცხვი (14 წლამდე).

**შენიშვნა:** ამ ცნობების აღსანიშნავად ბლანკებს მანუფაქტურის სყიდვის დროს თვით მაღაზიებში მოგცემენ. ცნობებს ბოლოში ხელი უნდა მოაწეროთ.

2. ბარათებით მიიღებთ, როგორც საცვლებისათვის (ტილო), ისე ბამბის, მატყლის, ფარჩის (ტანისამოსისათვის) და თბილი მძიმე საქონელი.

3. ოჯახის თვითეულ წევრისათვის შეგიძლიანთ იყიდოთ:
   ა. ტანისამოსისათვის—ბამბის, მატყლის ან და ფარჩის ქსოვილი.
   ბ. პალტოსათვის—მძიმე საქონელი (მატყლის ან და მატყლის ნარევი).
   გ. საცვლებისათვის—ბამბის ქსოვილი ან და ტილო.

4. ტანისამოსისათვის შეგიძლიანთ იყიდოთ ან ერთნაირი საქონელი (მატყლის, ან ბამბის ქსოვილი ან და ფარჩა) ან კიდევ სხვა და სხვა ნაირი, მაგალითად: საშარვლედ ან და სერთუკად—მატყლის ქსოვილი, ფიჯაკისათვის ან და სახალათე—ბამბის ქსოვილი.

5. მანუფაქტურა გაიყიდება შემდეგ ნორმით:

| კაცებისათვის | დედაკაცებისათვის | ბავშვებისათვის (1 წლის ბავშვისათვისაც) |
|---|---|---|
| სასაცვლებო ქსოვილები: 7 არშინი. | 12 არშინი. | 4 არშინი. |
| სატანისამოსო ქსოვილები (ბამბისა და ფარჩა) $4^{1}/_{2}$ არშინი (ორგანი). | 13 არშ. (ცალგანი) | 4 არშინი. |
| მძიმე საქონელი $3^{1}/_{2}$ არშინი (ორგანი). | $4^{1}/_{2}$ არშ. (ორგანი). | $2_{1}/_{2}$ არშ. (ორგანი). |

6. მანუფაქტურის ფასები მტკიცედაა გადაწყვეტილი.

ყოველ ნაჭერს აზის კომიტეტის ბეჭედი და იარლიყი, რომელზედაც აღნიშნულია ფასი.

3—824—1

ქალაქის სასურსათო გამგეობა

---

დიაკონი ლაზარე ალექსის ძე ტურაშვილი შვილებით და სიძეებით აუწყებს ნათესავ-ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ოთხს ნოემბერს, შაბათს, თბილისის კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში, გარდახდილ იქმნება წლისწირვა და პანაშვიდი

თამარა ლაზარეს ასულის
დაფქვიაშვილის

სულის მოსახსენებლად.

1—864—1

---

# საქართველოს ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის სია

## № 8

### რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის

1. **ქიქია** სპირიდონ მალხაზის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
2. **გვაზავა** გიორგი ბეჟანის ძე—ნაფიცი ვექილი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
3. **ქარუმიძე** შალვა ალექსანდრეს ძე—პედაგოგი.
4. **მაჩაბარიანი** იოსებ კონსტანტინეს ძე—ნაფიცი ვექილი.
5. **ბეჟანიძე** სულეიმან ბეგი—მეურნე (აჭარიდან).
6. **წერეთელი** ვასილ გიორგის ძე—პუბლიცისტი, ქალაქ ქუთაისის ხმოსანი.
7. **ვეშაპელი** (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე—გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ქალაქ თბილისის ხმოსანი.
8. **ჟურული** გიორგი დურმიშხანის ძე—ქალაქ თბილისის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
9. **გორდეზიანი** გიორგი პავლეს ძე—ნაფიცი ვექილი.
10. **ივანიცკი** (ინგილო) რაფიელ ალექსანდრეს ძე—იურისტი.
11. **კეკელიძე** კორნელი—რექტორი თბილისის სასულიერო სემინარიისა.
12. **ნიჟარაძე** რეჯებ ბეგი—მეურნე.
13. **თოფურაძე** ალექსანდრე დავითის ძე—პედაგოგი.

---

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სამეურნეო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმგეობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულების შეტანა.

---

## თ ბ ი ლ ი ს ი ს

## პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

## მეექვსე და მეშვიდე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ლერმონტოვის ქუჩა № 5, სახლი კლდიაშვილისა.

## მერვე და მეცხრე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 7—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მეცხრე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

## მეათე და მეთორმეტე უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხალხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

---

# ქართული კლუბი

**ქართული დრამა.** **წარმოდგენა № 14.**

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, 1917 წ. თბილისის ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

## მეეტლე ჰენშელი

დრამა 4 მოქმ. ჰაუპტმანისა თარგ. ქ. დ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ქილაძე-ჯიშვიანი მ., ქიქოძე ან., შოთაძე ი., ივერიელი ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარხნიშვილი ი., იმედაშვილი ა., კობახიძე ი., მატარაძე ვ., ქუთიძე ს., სარაული მ., შალიკაშვილი ვ.

რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა 9 ნოემბერს „პატიოსნება“.

2—825—1

---

# ამიერ-კავკასიის ბანკში

(თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5)

## იყიდება

ბაქოში დაარსებულ ქართულ ნავთის ხარეწველთ-სააქციონერო საზოგადოების აქციები 1000, 3000, 5000, 10000 და 25,000 მანეთიანი.

დაწვრილებით ცნობები მიიღება: თბილისში, იმავე ბანკში, ბაქოში—საზოგადოების კონტორაში ვორონცოვის ქ. № 4.

თ—766—28

---

Г. ГВАЗАВА

# ГРУЗІЯ

съ точки зрѣнія

МЕЖДУНАРОДНАГО ПРАВА

გამოიცა და იყიდება საქ. ეროვ. დემ. პარტიის ბიუროში.

თ—2

---

ექიმის თანაშემწე

## ვანო საათაშვილი

დღიურად ავადმყოფებს ხად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

39—748—თ.

---

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი-ხოდნევისამ

გ ა ნ ა ა ხ ლ ა

ავადმყოფების მიღება.

10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

25—823—15

---

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

---

ე ქ ი მ ი

## გ. მ. მუხაძე

იღებს საოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

თ—13

---

ე ქ ი მ ი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე.

გუნიბის ქუჩა № 41

ტელეფონის № 14—09

---

ე ქ ი მ ი

## ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულ და შარდსადენთ (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 118.

---

# დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

ვისაც გწამსთ საქართველო მთელი, განუყოფელი, არდაფლეთილი, არდანაწილებული, მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას, ე. ი. № 8-ს.

ვისაც გწამსთ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ე. ი. ვინც უარყოფთ მთელი ქონების გაზიარებას, იცოდეთ, რომ ერთად-ერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაიცავს თქვენს სურვილებს.

ვისაც არა გსურსთ, რომ მთელი სახელმწიფო ერთ ოჯახად გადაიქცეს, მთელი მუშა ხალხი ჯარებივით დაირაზმოს, თვითეული მუშა მხოლოდ სახელმწიფოს ბძანებას ემორჩილებოდეს, კერძო პიროვნების თაოსნობა, ინიციატივა, მოისპოს, თავისუფალი შრომა, თავისუფლება, ღირსება და წარმოება... მბძანებლობა გამეფდეს, მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

იცოდეთ, რომ საქართველოს ჯერ კიდევ არ დაუმსხვრევია მონობის ბორკილი. 1783 წლის ხელშეკრულება, საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული, რომელიც რუსეთის იმპერატორებმა დაარღვიეს, ახალმა მთავრობამ არ აღადგინა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები მოსთხოვენ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ამ ხელშეკრულების განახლებას. ხელშეკრულების ძალით საქართველოს საზღვრები აღდგენილ უნდა იქნეს! მეზობლები [illegible] [illegible] და მესხეთის ნაწილებს, იმ ადგილებს, სადაც თვითეული მტკაველი მიწა ქართველის სისხლით და ოფლით მორწყულია.

ცოდეთ: ერთად-ერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ დასთმობს ხსენებულ მხარეს, თვინიერ რომლისა შეუძლებელია საქართველოს ეკონომიურ-კულტურული წარმატება.

1783 წლის ხელშეკრულობის ძალით საქართველო უნდა დახმარებოდა რუსეთს საერთო მტრის მოგერების საქმეში მხოლოდ საქართველოს საზღვრების დასაცავად. ამავე დროს საქართველოს უნდა ჰყოლოდა საკუთარი ჯარი და ფლოტი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს ამ უფლების აღდგენას.

თანახმად ხელშეკრულობისა ეროვნული-დემოკრატია მოითხოვს აგრეთვე, რომ საქართველოს ჰქონდეს საკუთარი საბაჟოები, რომ ამ საშუალებით შეკრებილი ფულით გაკეთდეს რკინის გზები, გზატკეცილები, დაარსდეს სამეურნეო და სატეხნიკო სასწავლებლები, უნივერსიტეტი, საცდელი სამეურნეო მინდვრები, სანერგეები, სამომშენებლო დაწესებულებანი და სხ.

ბაჟის საშუალებით რომ საქართველო რკინის გზებითა და კარგი გზატკეცილებით დაისერება, პურის მიზიდვა სოფლად და დაბად გაადვილდება და, მაშასადამე, პურიც გაიაფდება.

იმავე დროს მხოლოდ ეროვნული დემოკრატია მოითხოვს, რომ საქართველოს ჰქონდეს საკუთარი ფული. რუსეთის ფულის ღირებულების დაცემამ სრულიადაც არ გამოიწვია ფინლიანდიის ფულის დაცემა, და ცხადია, საქართველოს რომ პოლიტიკური ავტონომია ჰქონოდა, არც ქართული ფული დაეცემოდა და საქართველოს არ დაატყდებოდა თავს საშინელი გაჭირვება!

იმავ დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებამ დამოუკიდებლად გამოსცეს საქართველოსათვის სისხლის სამართლის, სამოქალაქო და სოციალური კანონები: ჩვენ იმდენად სრულ-წლოვან და მომწიფებულად ვღვიარებთ ჩვენს თავს, რომ არამკითხეთა პატრონობა და მზრუნველობა არ გვჭირდება.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეაძლებინებს უმამულო მიწის მუშებს მიწის შეძენას კერძო საკუთრებად და წინააღუდგება მამულების დაშლას განსაკუთრებული იჯარით, ანუ რენტით, როგორც ეს სხვა პარტიებს აქვსთ განზრახული.

მოკლედ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას 1783 წლის ხელშეკრულობისა და რესპუბლიკურ-დემოკრატიული პრინციპის საფუძვლებზე, **საქართველოს განუწილებლობას, მთლიანობას, საკუთარ საბაჟოებს, ქართულ ფულს, ქართულ ჯარებს, ქართულ სასწავლებლებს, ქართულ სასამართლოს**, რუსეთთან ერთად ბრძოლას მხოლოდ საქართველოს საზღვრების დასაცავად, საკანონმდებლოსა და საადმინისტრაციო დამოუკიდებლობას, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, მიწას უმამულო მიწის მუშისთვის, მამულების განსაკუთრებული იჯარით, რენტით, არ დაშლას, მუშათა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ პირობათა უზრუნველყოფას სათანადო კანონმდებლობით, პიროვნების ხელშეუხებლობას, ხალხის მიერ არჩეულსა და დამოუკიდებელ სასამართლოს, გაფიცვათა და ამხანაგობათა თავისუფლებას, სიტყვის, ბეჭდვისა და კრების თავისუფლებას, ეროვნულ უმცირესობათათვის კულტურულ ავტონომიას და სხ.

ვინც აფასებთ ხსენებულ უფლებათ, მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სიას (№ 8).

**ვახალ წერეთელი**

## ქართულ-ფრანგული კომიტეტი

ამ დღეებში თბილისში დაარსდა ქართულ-ფრანგული კომიტეტი. ინიციატივა ამ კომიტეტის დაარსებისა ეკუთვნის „Petet Parisien"-ის თანამშრომელს ბ-ნ რენე მეველს, რომელსაც მოუხერხებია კიდეც შეკრება ზოგიერთი ქართველების და ამგვარად ეს საქმე უკვე მოუგვარებია. ამგვარი ალიანსების დაარსება ამ ომის დროს რუსეთში თითქმის მოდათ იქცა; მოსკოვში და პეტერბურგში არსებობენ სავაჭრო პალატები ფრანგულ-რუსული ინგლისური, ამერიკანული, იტალიური და ბევრი სხვა.

ამგვარ პალატების მიზანი პირველად ყოვლისა კომერციულია. უნდათ ერთი მეორეს დაუახლოვონ სხვა და სხვა ერები, შეისწავლონ წარმოება და გზა გაუკაფონ ნაწარმოებათა თავისუფალ გაცვლას, ამისათვის ამ პალატებთან აარსებენ კურსებს, უმთავრესად საკომერციო კორესპონდენციის შესასწავლად და აგრეთვე კითხულობენ ლექციებს ეკონომიურ კითხვებზე.

როგორც ვიცით, დაახლოვებით ამგვარივე მიზანი დაუსახავს ახლად დაარსებულს ქართულ-ფრანგულ კომიტეტს, მალე ალბად ის გამოაქვეყნებს თავის წესდებას საჯაროდ გასაცნობათ.

ჩვენ სრული თანაგრძნობით ვხვდებით ამგვარ კომიტეტის დაარსებას, მხოლოდ არ შეგვიძლია რამდენიმე მოსაზრება არ ვუთხრათ.

საქართველო მხოლოდ უკანასკნელ ხანს შეიქნა კარჩაკეტილი, ისტორიულ დროს კი საქართველო დიდ კარებათ იყო წინა აზიის. ყველა კულტურა ხმელთაშუა მღვის ბასეინში ბინადარ ერებისა საქართველოში ჰპოულობდა მკვიდრ ნიადაგს. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობა ქონდა.

თავი რომ დავანებოთ წარსულში ყველასათვის ცნობილ ფინიკელებს და არაბებს, ისეთ დაშორებულ სახელმწიფოებთანაც კი, როგორც ვენეციის ან გენუის რესპუბლიკაა, ამ სავაჭრო ურთიერთობას ან წინ უსწრებდა, ანდა თან ერთვოდა უფრო სულიერი კავშირიც. ხანდისხან სავაჭრო მისიას უერთდებოდა, თუმცა ეს გასაკვირია- რელიგიურიც და ამ როლში გამოდიოდენ კაპუცინის და ან დომინიკის ორდენის ბერები. და ყოველთვის ამგვარი განწყობილება იწვევდა საქართველოს კულტურულ გაძლიერებას და გზას უხსნიდა დამოუკიდებელ ეროვნულ შემოქმედებას. საქართველოს თავისთავზე ჰქონდა გამოცდილი, რომ „ნათელი აღმოსავლეთიდან"-აა. მხოლოდ როცა აღმოსავლეთი თითქმის სამუდამოდ დაიძირებოდა, მაშინ იმან არჩია ახალი ორიენტაცია „ჩრდილოეთის განათებაზე".

აქედან იწყება მისი ჩაკეტა და ევროპის კულტურის ჩამორჩენა.

ამის შემდეგ არც ქართველ ინტელიგენტებს და არც ქართველ ვაჭრებს სხვა გზა არ ქონიათ გარდა მოსკოვისა და პეტროგრადის, თუმცა რუსული უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებდა ქართველ სტუდენტს და საქართველოს ყველა წარმოების პროდუქტებს მხოლოდ ევროპა ასაღებდა.

ეხლა საკმაოდ დარწმუნდა ქართული საზოგადოება, რომ რუსეთის მოიმედე ის წინდაწინ გამზადებულია ჩამორჩენას და გაღარიბებას თუ არ ნახა ახალი გზები.

ამ მხრით ახალი კომიტეტის დაარსება სწორედ დროზეა, მაგრამ გარდა კომერციული მიზნისა, მას უნდა ჰქონდეს აგრეთვე უფრო ზოგადი კულტურული მიზნები.

ქართულ მწერლობაში უკვე აშკარად გამოიხატა ლტოლვა ევროპისკენ, უფრო რომანული ქვეყნებისკენ. „ცისფერ ყანწების" გამომცემლობას დასახელებული აქვს გამოსაცემად ფრანგი პოეტები: ბოდლერი, ლაფორგი, მალარმე, როლინა და აგრეთვე გ. ფლობერი და ე. და ჟ. გონკურები.

საჭიროა, რომ ფრანგული მწერლობაც გაეცნოს ქართულ გენიის შემოქმედებას. რასინის და კორნელის სამშობლო გაიგებს რუსთაველს, ხოლო რონსარის და ვიონის შეთხზველი ბესიკს. საჭიროა მოეწყოს კურსები ფრანგული ენის და ამას ნუ ექნება ხასიათი მარტო კომერციულ კორესპონდენციის შესწავლის, აგრეთვე საჭიროა მოეწყოს აგენტურა ფრანგულ წიგნების და ჟურნალების. შესაძლოა მალე არსდება ქართული უნივერსიტეტი მაგრამ, როგორც ვიცით სხვა უნივერსიტეტების პრაქტიკიდან, იქ მცირე ადგილი ექნება [illegible] ამ ენას. ამის გარდა ამგვარი კომიტეტი უნდა იყოს, უნდა დაარსდეს აგრეთვე პარიზში იქაურ კოლონიის ქართველ წევრებისაგან და ცნობილ ფრანგ მოღვაწეთაგან. ჩვენ ვიცით, რა სასახური გაუწია ამგვარმა კომიტეტმა ჩვენ მეზობელ ერს და როგორ პოპულარული შექნა სომხური საკითხი დაუღალავმა მუშაობამ.

არ ჰკმარა კიდევ მარტო ფრანგული კომიტეტის დაარსება, უნდა მომზადდეს ნიადაგი სხვა ერებთანაც დაახლოვების და კავშირის შეკვრის, როგორც ინგლისელებთან, ამერიკელებთან, იტალიელებთან, შემდეგ როცა ომი გათავდება და ცენტრალურ იმპერიებთანაც აღდგენილი იქნება ურთიერთობა, ამგვარივე კომიტეტები უფრო უნდა გაიზარდონ. ამის გა- რ ამ საქმეს უნდა მიეცეს მეტი აზრი, შეუძლებელია იმის შემოფარგვლა ინტელიგენტთა ვიწრო წრით. პირად სიმპატიებს გარდა საჭიროა ეროვნული სიმპატია, რომლის გამოწვევა მხოლოდ უმრავლესობის დაინტერესებით შეიძლება. კომიტეტებში უნდა შედიოდენ წარმომადგენლები კაპიტალისტური წრეების და მწერლობის. ამაზე იზრუნებს ალბად საორგანიზაციო კომიტეტი, და სათანადო [illegible] გამოიჩენს ამ საქმის გაძლიერებით...

**ტიტე ტაბიძე.**

## დიონისოს კულტი და საქართველო

### 2. დიონისო თრაკიაში

თრაკია:—„ველურ-ენთუზიასტური და ღრმად-საგზნებელი ხალხი" (დახასიათება ვიაჩესლავ ივანოვისა: წერილი—„დიონისოს რელიგია"). დიონისოს აქ სხვა და სხვა სახელს ეძახდენ: საბოს, საბაზიოს; აგრეთვე: ბასსარეუს, ბრომ, დიალოს (იხ. Pauly: „რეალ-ენციკლოპედია კლასიკური სიძველეთ-მეცნიერებისა", გერმანულად, ტომი მეხუთე, გვ. 1012). ამ ღმერთის კულტი სრულიად სხვაა, ვიდრე ის კულტი, რომელსაც ჩვენ გვაწვდის დიდი ჰომიროს თავის მონუმენტალს პოემებში. დიონისოს კულტი კიბელას კულტის ნათესაურია (კიბელა: მთისდედა ფრიგიელების; უკანასკნელნი თითქმის იგივე თრაკიელებია). ესევე მცირე აზიაში (იხ. პაული: გვ. 1012).

დიონისოს კულტის აღწერა: ორგიაზმი. ღამე. მთის მწვერვალნი, რომელთა კალთები ჩირაღდნებითაა განათებული. ახმაურებული მუსიკა. მეტრიმთა საშინელი ხრიალი. და ამ გრიალში „შეშლილობამდის მხიბლავი" ფლეიტა (სალამურის მზგავსი), რომლის სული პირველში „აუღელვებმა" გააღვიძეს. გუნდი მოლღესასწაულეთა, ველური მუსიკით აშლილი. ცეკვა: ქუხილ-ხივილით ბრუნვები. სიმღერა არ ისმის: სიმღერისათვის ცეკვის ძალმომრეობა სუნთქვას არ იძლევა. გიჟური, ველური, თავბრუდამხვევი არეულის მოცეკვავე—მიილტვის იგი გუნდი მთის დაქანებისაკენ. უმეტეს წილ ამ გუნდში ქალები იყვნენ, რომელნიც ერთი მეორეს ეხვეოდენ განცვიფრებულნი: თითქმის ტიტველნი: მხოლოდ „ბასსარებში" გახვეულნი (მოსასხამი, როგორც ჩანს, მელას ბეწვისაგან) და თავზე ხშირად—რქები. თმაგაშლილნი, ცალ ხელში გველებით, ხანჯლებს ალესებენ, სურომში ხვეულებს, და ბოლოს: დაეცემიან ზვარაკად განმზადებულ ცხოველს: ჰკლავენ მას, ჰგლეჯენ, სისხლს სვამენ და უმა ხორცს სჭამენ.

ამ პროცესში ერთგვარი **„მანია"** არის: აშლილობა, ლაგამ-ახსნილობა, აგზნება ისეთი, რომ ამ მდგომარეობაში დამიანი „სხვად" იქცევა. მიზანი ასეთი იყო: მხოლოდ ასეთი აგზნებით შეიძლებოდა საპირადოს გადალახვა და თვითარსის გადასხმა ღვთაების უპიროვნო ჰურჰელში. ღმერთი ხსენებულს გუნდში იმყოფება, მხოლოდ უხილავად,—ან და გუნდთანაა იგი ახლო: და ქუხილ-ხივილით ეგებებიან მას. ლეგენდები იუწყებიან: ღმერთი დროგამოშვებით სცილდება ამ ქვეყანას და დროგამოშვებითვე უბრუნდება მას: **„ეპიფანია"**—დაბრუნება. ხარღმერთი (ხარი ღმერთის მსახველი) გამოჩნდება მოცეკვავეთა რკალში; ან და „მიმები" (მსახიობნი) ახახიერებენ ბღავილით ხარ-ღმერთს და მით ცხადყოფენ ღვთაების გუნდთან თანაყოფას. გუნდი ეხვევა ხარ-ღმერთს: მას სწყურია იგი: მასთან შეერთება, მასში გათქვეფა:—„ზიარება". ამ აშლილობის მონაწილენი გრძნობენ, რომ სულნი მათნი სხეულებს მოსცილდენ,—და ახლა ღმერთის მსახურთა გროვას ერთვიან,—და თვითონ იქცევიან მის მსახურებად. მსახურნი დიონისოს ნაწილნი არიან, რადგან მონაწილენი არიან მისი ეპიფანიისა (დაბრუნების, მოვლენის): ღმერთთან ერთქცეული იწოდებიან „საბოს", „საბაზოს",—და ეს ხომ დიონისოა თვითონ. ზესთადამიანური და ქვედადამიანური ერთიმეორეს ერევა: აშლილ სიგიჟეში მსახურნი თავს ეხმიან საზვარაკო ცხოველს და დაჭრილ-დაგლეჯილს ჰკლავენ მას. გარე-სახითაც რომ ემგვანონ ხარ-ღმერთსა, მსახურნი მაღლითად თავზე რქებს იკეთებენ.

ყველა ეს რელიგიურ სახიობას გვაჩვენებს. მაგრამ აქ სახიობაზე მეტია რაღაც. ღამის იდუმალობა და საშიშროება, მუსიკა, განსაკუთრებით ფრიგის სალამურის ჯადოსანი ხმა, რომლის სმენა, ძველთა სიტყვით, „ღმერთსავით ჰხდის" მსმენელს, გიჟურ ველური ცეკვა-არეული ქუხილ-ხივილით,—ყველა ეს ისეთს მდგომარეობას ჰქმნიდა, რომ მოლღესასწაულენი გარე-სახიერებულად ხედავდენ მას, რასაც იგინი შიგან თვისის არსებისა გრძნობდენ ან წარმოიდგენდენ. ამ ვიზიონარ მდგომარეობას კიდევ უფრო აძაფრებდა მწვავე სიტკბოთი სხვა და სხვა მათრობელი სასმელი: განსაკუთრებით თრობა სხვა და სხვა სათესლო მარცვლებით. ასეთს ანთებულსა და აგზნებულთათვის შეცვლილია მთელი ბუნება. აქ იქმნის ისეთი მდგომარეობა, სადაც თვითონ ტკივილი გზნების გადიზიანებაა მხოლოდ და ტკივილი აღარ არის ტკივილი.

ასეთს მდგომარეობაში სული სხეულთან აღარ არის: იგი თითქო ტანისაგან გამოსულა. ეს არის „ექსტაზი", ანუ როგორც ძველად ამბობდენ, „გარდამავალი შეშლილობა, — როგორც ნამდვილი „შეშლილობა" გარეშეული ექსტაზია (ამგვარ შეშლილ ქალებს კარგად გადმოგვცემს ევრიპიდეს „ბაკჰიდები", აგრეთვე პლატონიც: Jon. 534 A.). ხოლო ეს შეშლილობა უბრალო სიგიჟე არ არის: ეს არის „ჰიერომანია" („წმინდა შეშლილობა"), რომლითაც სული სხეულს სცილდება და ეზიარება ღვთაებას. ამ სახის შეშლილობაში საშინელი ძალა იზრდება, რომელიც არ იცის ყოველ-დღიურმა სიფხიზლემ. სხეულისაგან თავისუფალი სული მწერს მას, რასაც მხოლოდ სულის-თვალნი ხედვენ. აქ იმართება პირველში **აფრთოვანების მანტიკა**: ისეთი წინასწარმეტყველება, რომლითაც დიონისოთი ავსილი სული მომავალს სჭვრეტს. აქედან: „ქადაგად დავარდნა" და ქადაგება. აფრთოვანების მანტიკის მატარებელნი **მენადებია** (მენადა: გაპიროვნებული თავდავიწყება ღვთაებით ავსილობაში და ნექტარი ამოხვრეპა ამ ავსილობის უძირო წყალთაგან). „მენადები" წინასწარმეტყველებენ:—და იქცევა მთელი გუნდი ასეთს წინასწარმეტყველთა („შეწირულთა"): „სიბილლები" და „ბაკჰიდები" იგივე „შეწირულნი" (იხ. ერვინ როდე: „ფსიხე", გერმანულად, ტომი II, გვ. 1—33).

**გრიგოლ რობაქიძე.**

## ლუნაჩარსკი.

### (ძველი შთაბეჭდილებიდან)

გული დაგწყდებით, როცა ნახავთ: [illegible], გრანდიოზულ ფიგურას მოელოდით, მაღალს, ახოვანს, შეიძლება არისტოკრატიულს...

არ დაუჯეროთ მის წერილებსაც: ჰა! ტყუილებით! მისი სტილი და ამაყი ალო კალმის ქარიშხლით გიოლდენთ ბაირონის სულით აღფრთოვანებულს ამბუკს, რომლის მოახლოვებასაც ჯერ ორიოდგანვე ჰგრძნობთ...

მასში არც თუ მცირეებს, თვალით ოფარგლულ ფილოსოფოსს ნახავთ. უყურეთ მისი პრეტენზიები ფილოსოფოსობაზე! მისი ფილოსოფია არ მართლებს მის პსევდონიმს „ფილოსოფოსს"...

სრულიად უბრალო კაცია. საშუალო ტანის. [illegible] შეურთველი მუქი ქერა წვერ-ულვაშით, რომელთაც ნელლი სიმინდის ქოჩრის ელვარება დაჰკრავთ. ოჯნავათ დამარცვლებულს ცხვირს გამომეტყველება აქვს. ნიკაპთან თუ ხელს დაუჭერინებთ, მიიღებთ პშიბიშევსკის სურათს. შუახნოვანობისას რომაა გადალებული, უკეთეს შემთხვევაში ჩაიცვით ჩვენებური ჩოხა-ახალუხი და მიიღებთ ზედად იმერელ აზნაურის ტიპს, ქუთაისის ბულვარზე დინჯით ან და მარჯნის კრიალოსნის მრეკლით რომ მთელ დღე და ღამეს ათენებს ხოლმე უზრუნველად!

მაგრამ ეს არ უშლის ლუნაჩარსკის, როგორც ორატორს, რომ თავის მჭევრობით ისევე გაგიტაცოს, როგორც მისმა ამაყმა სტილმა.

იგი უცხოოსი მხატვარია, არა ხმით, არა ჟესტებით! რა ბრძანებაა! მასში ტალღებს ვერ დაინახავთ! იგი ყვავილოვანი კალმითი მხატვრულ სიტყვების ჯადოსანი ფაკირია. მისი მჭევრული სიტყვა აღმოსავლეთულ ფეშის აჩუქებული შადრევანია, ძვირფას წალკოტის ნადვლარ ყვავილ-ვარდების შუა გარიდის სხვებში რომ საამოდ ჩქეფს და ათას ალმასებს ათამაშებს!

ნუ გგონიათ ლუნაჩარსკი, როგორც მატერიალისტი, ჩვენებურ მატერიალისტთა ყურმოჭრილი იკვებებოდეს და მათსავით ხისა და რკინის ფეხებით უხეშად მიწაზე დაბოტებდეს. არა! იგი ამ შემთხვევაში თავის თავსაც ღალატობს და ლუნაჩარსკი მატერიალისტი ხშირად, ძალიან ხშირად მისტიციზმის ბურუსიან სფეროში დაჰფრენს და უფრო ბერდიაევისა და მერეჟკოვსკის სულს ენათესავება, ვიდრე ბოგდანოვს, რომლის მარჯვენა ხელობას სწევდა ხოლმე, განსაკუთრებით პლეხანოვთან კამათის დროსა.

ლუნაჩარსკის სიტყვის მხატვარი, მხატვარი არის მთელ კამათის საცილობდა! მას არ უყვარს შაბლონი, ტრაფარეტი, თუნდა ლამაზი, მაგრამ განმეორებისაგან ისე გაცვეთილი და შნო დაკარგული სიტყვა, როგორც ჩვენებურ ნაძალადევ მგოსანთა მიერ ახირებულად ხმარებული „სიყვარული", „ვარდი" და „შემიყვარდი". ლუნაჩარსკი განუმეორებელია, მისი ფრაზები ჰქვიან და ისეთივე მრავალფეროვანი, როგორც არაგვის ტალღები, რომელთა ზვირთი ერთიმეორეს არ წააგავს არასოდეს!

უფრო ლიტერატორი იგი არ ეხვევა რატორის ბადეში, იგი ისეთივე მიმზიდველია და ისეთივე ძლიერი, როგორც მის საყვარელ ვერჰარნის პოეზია, რომელსაც რუსთა შორის ყველაზე მეტად ჩასწვდა, ამოსწურა, შეიყვარა და შეაყვარა პოეზიის რუსნაშობლებს...

ლუნაჩარსკი ორატორთა შორის კეთილშობილი თავადია, რომლის სიმდიდრე ხშირად უბადრუკ მეფეებსაც არა აქვთ ხოლმე.

**დ. კასრაძე.**

## შიმშილის მოლოდინი

დღეს საზოგადოება ისეა გატაცებული რევოლუციისა და ომის მსვლელობის ცქერით, რომ ავიწყდება თავიდათავი—სურსათი, რომელიც ღერძია რევოლუციისა და ომის გამარჯვებისა.

ამიერ-კავკასია, როგორც მთიანი ადგილი, ძალიან მცირე მიწას აძლევს გუთნის დიდად დასამუშავებლად. მთელი ამიერ-კავკასიის მიწა-წყალი რომ ავიღოთ, დავანაწილოთ, მხოლოდ 18½% არის ისეთი მიწა, რომელიც სახნავ სათესად ვარგობს. მაგრამ ხსენებული სახნავ-სათესი მიწები ყველა ერთი ჯურისა არ არიან. ზოგი სარწყავია და ზოგიც ურწყავი. მიწები რომელნიც მდებარეობენ არა უმაღლეს 2,500 ფუტისა, ზღვის პირიდან, უფრო ნაყოფიერია და მას ზევით 16,00 ფუტამდე მიწის ნაყოფიერება კლებულობს. მიწის ასეთ სიკოტავეს და ბუნებრივ უხერხულობას სძლევდა ამიერ-კავკასია 80 წლებამდე, როდესაც ხალხით მცირე იყო მკვიდრთაგანი და ხვნა-თესვასაც დიდი ადგილი ეჭირა ამიერ-კავკასიაში.

მაგრამ ეს წლები იყო მნიშვნელოვანი ამიერ-კავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ წლებში გაჰყვეთ რკინის გზის ლიანდაგი, შემდეგ ჩვენი რკინის გზა ერთვის რუსეთისას და იმართება მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთისა და ამიერ-კავკასიის შორის. ზემოხსენებულ ფაქტორს მოჰყვა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, რასაკვირველია შედარებით, და ქალაქებიც გაიზარდნენ. სამოცდაათიან ოთხმოციან წლებში თბილისის მცხოვრებთა რიცხვი არ აღემატებოდა 70,000, მაგრამ ამ ჟამად ნახევარ მილიონს უდრის.

ამიერ-კავკასიის ეხლანდელ დიდ ქალაქებს ადგილობრივი მეურნეობა ვერ გამოჰკვებავდა და აგერ თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყანა რუსეთის პურით იკვებება. პურის ნაკლებობის მიზეზი ამიერ-კავკასიაში მარტო ქალაქების ზრდა არ არის. მეორე მიზეზიც არის, რომელმაც პურის მოსავალი შეამცირა, სახელდობრ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა მიწის სხვა კულტურაზედ გადაცვლა.

ჩვენი ქვეყანა, როგორც ბუნებით და ჰავით მრავალ ფეროვანი, მცენარესაც მრავალ-ფეროვანს წარმოშობს. თუ უწინ ჩვენში ბამბის მოყვანას არ მისდევდნენ ფართო რიგად, ამიტომ რომ საქონლის ბაზარზედ გასატანი საშუალებანი, რკინის გზები, არ იყო. მაგრამ რკინის გზის გაყვანის შემდეგ [illegible] კონტინენტმა ხალხმა მებამბეობას მიჰყო ხელი, როგორც უფრო შემოსავლიანს და ამან მთავრობაც ძლიერ უწყობდა ხელს ამ სახელმწიფოსათვის დიდ მნიშვნელოვან წარმოებას. მთავრობა კიდეც აქეზებდა ხალხს. საკოლონიზაციო პოლიტიკაც უფრო მწვავედ მოჰხვდა ხალხსა. ხალხმა რაკი დაინახა საქონლის გასავალ საშუალებათა აშკარა გამოხატულება. ბამბის გარდა მიჰყო ხელი მევენახეობას, მეხილეობას და სხვა. ჩვენი სოფლის მეურნეობის მაჯის ცემა ინტენსიური გახდა.

რაც მოიკლო ჩვენში პურის მოსავალმა, ხალხმა ის რუსეთის პურით შეივსო და ამ ნაკლის შევსება მით უფრო ადვილი გახდა ამიერ-კავკასიისათვის, რომ მთელი რუსეთის პურის უმრავლესობა საექსპორტოთ დაზა[illegible] [illegible] უცხოეთში [illegible] იმიტომ, რომ იგი არ იყენებდა მთელი წლის განმავლობაში. შავის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ პორტებიდან (ქერჩი, ნოვოროსიისკი) გადიოდა ხორბალი არა მარტო ჩრდილო კავკასიისა, არამედ ვოლგის ხორბალიც ცარიცინის რკინის გზით შიგ [illegible]. თუ რამდენი გაჰქონდათ საზღვარგარეთ, [illegible] გადმოთვლილი ხსენებულ საექსპორტო ადგილების ხორბლის პროცენტები უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში. [illegible] ამ ქარხანაში ამიერ-კავკასიისათვის სულ ადვილი იყო [illegible] მიეღოთ ის ნაკლი მოსავლისა, რომელიც გამოიწვია [illegible] ზრდამ და სოფლის მეურნეობის სახის ცვლამ.

მაგრამ მკითხველი იტყვის, თუ ამდენი ბევრი იყო რუსეთში იმიტომ რომ სხვებსაც აზიარებდნენ, ეხლა რატომ შინისთვის საკმაო არ არისო. პასუხი ყველამ ერთი აქვს—მუშა ხელი არ არის და მოსავალიც არ არისო; მაგრამ [illegible], რომ ეს შეხედულება გადაჭარბებულია. მიზეზი ჩვენი აზრით სულ სხვა. [illegible] მიზეზის გამორკვევა იმან უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოს საქმეში, რომ იპოვოს მიზეზი. ამიტომ საჭიროა თვალი გადავავლოთ ხორბლის ექსპორტის ისტორიას რუსეთში.

ოთხმოციან წლებამდე პური იმდენი იყო რუსეთში, რომ ის [illegible] მასალად ხმარობდნენ ზოგიერთ ადგილებში შეშის მაგიერად. ეს ის დრო იყო [illegible] რუსეთში ჯერ არ იყო [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საქმე ისე [illegible] უკანასკნელ წლებამდე და იმაც ქ[illegible].

რაში გამოიხატება და ექსპორტის ანარქიული მდგომარეობა?—[illegible] მთავრობამ [illegible] ასი მილიონი ფუთი [illegible] რუსეთიდან. [illegible] ფუთები ამ წარმოებისათვის.

იმ ასი მილიონ ფუთიანი შეგროვებული [illegible] იყო და ხალ იყო, ეს არ იცოდა ძველად მთავრობამ და ახლაც მთავრობამაც არ იცის, რადგან ამის გასაგებად არც დრო და არც გარემოება ხელს არ უწყობს.

ძველმა მთავრობამ ისიც იცოდა, რომ რომელთაც რკინის გზაზე, [illegible] სადგურზე ვიღაცას აქვს ამბარი და იქ [illegible] [illegible] [illegible] ამ ამბარში ხორბალს. [illegible] „[illegible]" [illegible] და იქ [illegible] მას „სპეკულაცია"—ამბობს პეტროვანი. ვინ იყო ეს [illegible], სადაური, რომელ ორმოში აქვს შენახული, რამდენი მაინც და სხვა, ეს არავინ არ იცოდა და არც იციან. ამ ჟამად ვერც გაიგებენ.

თუ ეხლა ადგილი მიეცა [illegible] ამბარში ეს იმიტომ, რომ მან „[illegible]" [illegible] [illegible] „[illegible]". [illegible] [illegible] [illegible] [illegible] რომ ვიცით სად არის საქონელი და [illegible] აქვს [illegible]. როგორც დღეს ხელში [illegible] [illegible] მანიას, შენახვა [illegible] და ყველა ამისათვის „[illegible]" [illegible] აქვთ. [illegible] „[illegible]" თავს დაიმშვს.

მაგრამ „სპეკულანტს" ვინ ჩივის, ჩვენში უფრო მწვავეა არის საქმე.

ტფილისის სურსათის შავნისა [illegible] შავნის უფლება აქვს (ვ. ი. [illegible]) მხოლოდ სასურსათო კომიტეტს. ვფიქრობთ, შორაპნის სასურსათო კომიტეტმა იშოვა სურსათი [illegible] ოლქში. საჭიროა [illegible] ოლქის სასურსათო კომიტეტის [illegible] სურსათის [illegible] გატანისა. მაგრამ [illegible] არ მოგვყიდეს, მაშინ თუნდაც რომ ჩვენ [illegible] ზედმეტი მისცეს, მყიდველმა

კომიტეტმა, არავითარი საბუთი არა აქვს [illegible] ხელით, რომ ეს სურსათი მისი იყვეს, იმიტომ, რომ არსებობს სათემო სასურსათო კომიტეტი, რომელიც განაგებს ყველა სურსათს, სადაც კი იგი გამოჩნდება და ანაწილებს თავის შეხედულების მიხედვით. ასე რომ თუ [illegible] კომიტეტმა ზედმეტი მისცა ჩუმად, შეიძლება ნაყიდი სურსათი ზანგეზურის მაზრაში გადაზიდონ და [illegible] დარჩნენ [illegible] და ზედმეტი მიცემული ფულიც დაეკარგონ. ასეთს პირობებში ზედმეტს არავინ მისცემს და [illegible] არავინ გაჰყიდის. ეს თვით [illegible] სისტემა [illegible] კაცის მიერ არის მოგონილი ძველი მთავრობის დროს და მიკვირს, რომ ეს სისტემა ახალ მთავრობის დროსაც დარჩა.

სარევოლუციო ორგანიზაციებს ჰქონდათ [illegible] და [illegible] ხორბლი [illegible]. ამ პირობებში [illegible] თუ კომიტეტები, თვითონ [illegible] ვერ გაარჩენს პურს. საჭიროა ამ [illegible] კანონის შეცვლა, თორემ უკიდურეს შიმშილს დიდი უბედურება მოჰყვება. თუ ძველად იყო ეს კანონი და მაინც არ იყო შიმშილი, ამის მიზეზი იყო ქრთამი, რომლის გამოისობითაც ხსენებული კანონი არა ერთხელ დარღვეულა. ახლა კი ქრთამის მიცემას და აღებას ვერავინ ჰბედავს და ეს კანონი [illegible] შიმშილში [illegible]. [illegible] ხორბლის ყიდვა-გაყიდვა, [illegible] კონფერენციებს [illegible] და, [illegible], თითონ [illegible] თავის თავს და [illegible] **[illegible] მაგრამ [illegible] ფასი.**

**[illegible]**

## უკანასკნელი დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის [illegible] დუხონინმა [illegible] კავკასიის [illegible] მთავარ [illegible] **გენერალ პრჟევალსკის და კავკასიის ლაშქრის კომისარს [illegible].**

**„გიორგობისთვის 1-ს [illegible] [illegible], რომელიც [illegible], [illegible] [illegible] [illegible] შეიწყნარებენ.** [illegible] [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] მართველობის [illegible] [illegible] თანამშრომლობა და [illegible] [illegible] ჯარი. **ამ [illegible] [illegible] [illegible] დროებით მთავრობის შეიარაღებულ.** [illegible] ჯარის [illegible] [illegible] [illegible] თავისთავად [illegible] [illegible] [illegible] შემოსავლის სახელმწიფოებში. [illegible] [illegible] **[illegible] [illegible] კომიტეტებს: [illegible] [illegible] [illegible] დროებით [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].** [illegible] [illegible] [illegible] ერთად [illegible] [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] ჩვენი ორგანიზაციის [illegible].

## ქრონიკა

### თბილისი

◆ [illegible] [illegible] [illegible] თბილისში [illegible], გიორგობისთვის 6 ს, [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

◆ **დამფუძნებელ კრების გარშემო.** ამიერ კავკასიის საარჩევნო კომიტეტის წინადადებით შეიარაღებული [illegible] ყველა [illegible] [illegible] დაწესებულ კრების [illegible] კავკასიის ცენტრალ საარჩევნო კომისიას [illegible] [illegible] დროებითი მთავრობისაგან [illegible] [illegible].

◆ **ქართველ ჯარის ხაზინა.** დღეს, პარასკევს, 3 ნოემბრის ქართულ კლუბის დარბაზში გაიმართება დიდი [illegible] ქართულ ჯარის სასარგებლოდ. მოწყობილი იქნება განსაკუთრებული გასართობები, ცეკვა, სიმღერა, ლექციები, ექსპრომტები. მონაწილეობას ღებულობენ, ქართველი ხელოვნების საუკეთესო ძალები. საზოგადოების ვალია [illegible] დაესწროს ამ ფრიად საჭირო მიზნისათვის გამართულს საინტერესო საღამოს.

◆ **ბოლშევიკები და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი.** ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალ კომიტეტისაგან 2 გიორგობისთვის თარიღით ცირკულიარი დაურიგდათ, რომ თუ ბოლშევიკები თავიანთ ტაქტიკის გაგრძობას არ შეაჩერებენ და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებას ძალით მოინდომებენ, ყველა მოსამსახურენი მზად უნდა იყვნენ გაფიცვისათვის.

◆ **ქურდობა ტფილისის ხაზინაში.** ტფილისის ხაზინის უფროსმა ვ. [illegible] შეატყობინა ქალაქის მილიციას, რომ ხაზინიდან მოუპარავთ ფულის მისაღები საბუთის [illegible]. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ქურდობა მოუხდენია ხაზინის მოსამსახურეს, ვინმე [illegible]. იგი გამოტყდა და განაცხადა რომ აქედან უნდა წავსულიყავ, ფული მჭირდებოდა და იმიტომ ვიქურდეო.

◆ **ქართული კლუბი.** ქართულ თეატრში მიერ ორშაბათს, 6 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება „[illegible]“ დრ. 4 მოქ. ჰაუპტმანისა.

◆ **ეკიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების** გამგეობის მიერ დანიშნულია პარასკევს, 3 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, პირველი საორგანიზაციო **კრება** ქართველ ბუნების-**მეტყველთა** [illegible] საკრებულო დარბაზში ([illegible] ქუჩა № 11).

◆ **მიწის ძვრა.** გიორგობისთვის პირველს, 2 საათ. 45 წუთს, ტფილისში ნელი მიწის ძვრა იყო, რომელმაც რამდენიმე წუთს გასტანა.

◆ უმაღლეს [illegible] სარდლის განკარგულებით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ იქნებიან ის პირნი, რომელთაც დამფუძნებელ კრების კანდიდატთა სიაში შეიტანენ.

◆ ცენტრალ საარჩევნო კომისიაში სულ 16 საკანდიდატო სია წარდგენილი. კომისია უკვე შეუდგა სიების შემოწმებას.

◆ **განთავისუფლებულ ჯარისკაცების დღეობა.** [illegible] სამოქალაქოდ დათხოვნილ ჯარისკაცებს თითო [illegible] ხარჯის გასამგზავრებლად [illegible] [illegible] დაუნიშნა.

◆ **მძარცველობა.** ღვინობისთვის 30-ს ჩერქეზიშვილის ქუჩაზე შეიარაღებული კაცები დაუხვდნენ ოზურგეთის მცხოვრებს მოსიკო კილაძეს და წაართვეს 200 მანეთი ფული და 800 მანეთად ღირებული ოქროს ბეჭედი.

◆ **შეშა.** პირველ გიორგობისთვიდან ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის საწყობებში დაიწყო შეშის გაყიდვა. თითო საჟენი ფასობს 260 მან. საჭიროა დროებითი სასურსათო ბარათის წარდგენა.

### საგარეჯო

◆ **გაქურდვა.** ამ დღეებში გაქურდეს ზალეფ მთიკაშვილის სახლი. წაიღეს ორას თუმნის ღირებულების ნივთეულობა. სახლის გამტეხი ვერ აღმოაჩინეს.

### ქ. ახალ-სენაკი

◆ აქ დასახლებულად ათასამდე ჯარის კაცი ჩამოიყვანეს. ბინის უქონლობის გამო [illegible] წრიოებს განიცდიან.

◆ ამ დღეებში თბილისიდან მოვიდნენ [illegible] ქართველ ჯარის კაცი. [illegible] [illegible].

◆ სანოვაგის ფასები დღითი დღე მატულობს.

— ადგილობრივმა დრამატიულმა საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა სცენის მოყვარეთა დახმარებით ზამთრის სეზონი მოაწყოს.

◆ **სამეგრელოს სახალხო სასწავლებელი.** სამეგრელოს სახალხო სასწავლებლის გამგეობა ამით აცხადებს, რომ თანახმად [illegible] საქართ. სკოლების კრების დადგენილებისა [illegible] ამა სასწავლო წლიდან გადაკეთდა რეალ კლასიან გიმნაზიად და წელს გახსნა კიდეც მეხუთე კლასი. ამ ახალ გახსნილ სავაჟო ვაჟთა გიმნაზიაში თავისუფალია გამგეს და აგრეთვე მათემატიკური საგნების ერთი მასწავლებლის ადგილი, რომელსაც კვირაში ექნება 21 გაკვეთილი, ამისათვის გამგეობა სთხოვს მსურველთ გამოგზავნონ თხოვნა და დოკუმენტები ამა წლის 20 ნოემბრამდე სასწავლებლის გამგეობის სახელზე ქ. ახალსენაკში.

### სოფ. საზანო (გორ. მაზ.)

◆ 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა [illegible] ოჯახს. წაართვეს 3,750 მანეთი და მიიმალნენ.

—

### შეცდომის გასწორება

ქართველ თავად-აზნაურთა დეკლარაციაში სამწუხაროდ შეცდომები დაბეჭდილი. გასწორებით ვუმთავრესს. დაბეჭდილია:

1) ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კუთვნილებას, როგორც წოდებრივ ორგანიზაციისას, თავად-აზნაურობა აღიარებს მთელი ქართველი ერის ქონებად და გადასცემს საკუთრებად საქართველოს თვითმართველობის საჯარო უფლებრივ ორგანოს, როდესაც იგი დაარსდება.

უნდა იყოს: 1) ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს თბილისის და აგრეთვე ყველა მის ქონებას, როგორც უფლებით და ვალდებულებით, როგორც იმავე წოდებრივ ორგანიზაციისას,—თავად-აზნაურობა აღიარებს ქართველი ერის [illegible]... და სხვა.

## ეროვნულ დემოკრატიული პარტია

### მესამე და მეოთხე უბნის კრება.

შაბათს, გიორგობისთვის 4 ს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ მესამე და მეოთხე უბნის წევრთა და თანამგრძნობთა საერთო კრება.

განსახილველია საკითხი: მიმდინარე მომენტი და დამფუძნებელი კრება.

### მე-10-ე და მე-12 უბნის კრება

კვირას, გიორგობისთვის 5-ს, დილის 11 საათზე, ახალ საკრებულოს შენობაში (ყოფილი ხარფუხის კლუბი) დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-10-ე და მე-12-ე უბნის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები: დამფუძნებელ კრების არჩევნები, საორგანიზაციო საკითხები და სხვა.

პარტიის წევრთ და თანაგრძნობით ვთხოვთ უსათუოდ დაესწრონ.

### ეროვნულ დემოკრატიულ მოწაფეთა საყურადღებოდ

კვირას, გიორგობისთვის 5-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია ყველა სასწავლებლის ეროვნულ დემოკრატიულ მოწაფეთა საერთო კრება.

კრების საგანი: რეფერატი, საარჩევნო საკითხები და წევრთა მოწყობის საკითხები.

კრება მოხდება ქართულ გიმნაზიის დარბაზში.

## ქართულ ფრანგული კომიტეტი

ოთხშაბათს, 1 გიორგობისთვეს, სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში ბ-ნ ვარლამ ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა თბილისში მცხოვრებ ფრანგთა და ქართველთა კრება. ინიციატივა ამ კრების მოწვევისა ეკუთვნის ამ [illegible] თბილისში მყოფ გაზეთ „Petit Parisién“-ის თანამშრომელს ბ-ნ რენე მ[illegible]ლს. კრებამ [illegible] სცნო [illegible] კავშირის შეკვრა საქართველოსა და საფრანგეთს შორის, რომლის საჭიროება დიდი ხნის აღნიშნულია და განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს, როდესაც საქართველოს კულტურის ახალი ხანა იწყება და მომავალი უნივერსიტეტიც ფრიად საჭიროებს. ეს [illegible] ფრანგულ ქართული ალიანსი (კავშირი) იქნება [illegible] კომერციულ ნიადაგზედ. ამ საქმის საბოლოო მოწყობა მიენდო დროებით საორგანიზაციო კომიტეტს, რომელშიდაც შევიდნენ თვით რენე მ[illegible]ლი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გ. გვაზავა, იაკობ ნიკოლაძე ბ-ნი ბ—ძე, სპირ. კედია, ვ. ლამბაშიძე, გენერალი თ-დი ორბელიანი, თავადის ქალი ლიზა ორბელიანისა და კიდევ რამდენიმე წევრი თბილისის ფრანგულ კოლონიიდან.

## ეროვნულ-დემოკრატების მიტინგი კობულეთში

პარასკევს 27 ოქტომბერს, ც. კობულეთს ჩამოვიდა ი. მაჭავარიანი. უკანასკნელი დაესწრო საქ. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის წევრთა საერთო კრებას. კრებას დაესწრო 350-მდე კაცი, მაჭავარიანმა მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, კრების შემდეგ გაიმართა მიტინგი. მიტინგზე მონაწილეობას იღებდა უმთავრესად სამი პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატები და რუს. სოციალ დემოკრატიული; საყურადღებო იყო გამოსვლა საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა, განსაკუთრებ [illegible] ძველი, ეროვნული სიმღერით; თითქმის სულ მაჰმადიანი ქართველობა, [illegible] 400 მეტი, მიტინგის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნენ სამი კაცი, ი. მაჭავარიანი (ერ. დემ.), [illegible] (ს.-დ.) და ხოჯა ს. ფფ. ცივაძე (ერ. დემ.). პირველი სიტყვა წარმოსთქვა ი. მაჭავარიანმა, რომელმაც ხაზი გაუსვა განსხვავებას ეროვნულ დემოკრატებისას სოციალისტურ პარტიებიდან. შემდეგ მჭერმეტყველურად დაასურათა [illegible] საქართველოს უბედური მდგომარეობა და მიუთითა საქართველოს განთავისუფლების [illegible]. ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. შემდეგ ილაპარაკა სოც.-დემოკ. [illegible], რომლიდანაც მოველოდით, წინა ორატორის სიტყვის კრიტიკას, და მის მიერ დებულებების დარღვევას, მაგრამ მისი სიტყვა, ჩვეულებრივი გამოდგა; მან ისევ ძველი მოთხოვნის [illegible] გავიმეორა და შემდეგ ანალიზი გაუკეთა საქ. ეროვ. დემოკ. პარტ. საარჩევნო სიას. ერთი სიტყვით, მისი სიტყვა თავიდან ბოლომდე დემაგოგიაზე იყო აგებული, მიტინგი 4 ნახევარ საათზე გათავდა. აქ გამოირკვა, რომ ქართველ მაჰმადიანთ სიმპატია საქარ. ეროვ. დემ. პარტიისკენ იხრება.

## სომეხთა ეროვნულ საბჭოს მოწოდება

„თანამემამულენო!

ენკენისთვის 27 თბილისში მოწვეულ სომეხთა კონფერენციის დადგენილებით სდგება: 1) სომეხთა ეროვნული საკრებულო, რომელმაც უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს სომხური ცხოვრების მიერ წამოყენებული ყველა საკითხი, და 2) სომეხთა ეროვნული საბჭო, რომელიც აღმასრულებელი ორგანოს უფლებებით ხელმძღვანელობას გაუწევს სომეხთა ეროვნულ ცხოვრებას, ყოველ ეროვნულ საქმეს. ორივე ორგანო ეროვნულ კონფერენციის მიერ აღიარებულ საფუძველზედ დაარსებული, კოალიციის პრინციპით და თანხმობით იმუშავებენ ყველა სომხური მომქმედი პოლიტიკური პარტიები და უპარტიო ელემენტები. ეროვნულ საბჭომ ანგარიში უნდა ჩააბაროს და პასუხის მგებელია ეროვნულ საკრებულოს წინაშე, რომელიც პერიოდულად იქნება მოწვეული ხოლმე თბილისში, რათა საბჭოს აძლიოს სახელმძღვანელო დირექტივები და თავისი ზედამხედველობითი ფუნქციები შეასრულოს.

ეროვნულ საბჭოს მიზანია სომეხთა მშრომელი წრეების ინტერესების დაცვა და უნდა ცდილობდეს ეს ინტერესები შეუფარდოს, როგორც რუსეთის დემოკრატიის, ისე მეზობელ ერების დემოკრატიების ინტერესებს, სახელმწიფოებრივ საფუძველზე. ამ შემთხვევაში საბჭო უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო სოლიდარობას, სულიერ ერთობის და ხალხთა თავისუფალ ზრდა-განვითარების პრინციპებით.

ეროვნული საბჭო სცნობს თავის თავზე დადებულ მოვალეობათა სიმძიმეს, მაგრამ იმედოვნებს, რომ ყველა წრის სომხები მას მძლე დახმარებას აღმოუჩენენ.

თანამემამულენო, დღეს, როდესაც ყოველ დღე მოსალოდნელია, რომ რაიმე მკაცრმა მოულოდნელმა მოვლენამ მთლად გაანადგუროს, როგორც ჩვენი შემოქმედებითი ძალები, ისე ჩვენი იმედები თვით ცხოვრება მოითხოვს სომხის ერის ყველა ცოცხალ ძალების თანამშრომლობას.

ილუზიებს ადგილი აღარა აქვს. განუზომელია ის უბედურება, ნანგრევი და განცდანი, რომელიც სომხის ერს დაატყდა თავს. აგრეთვე განუზომელი უნდა იყოს ჩვენი სურვილი მსხვერპლის გაღებისა.

ამ მძიმე დღეებში სომეხთა ეროვნული საბჭო მტკიცე იმედით მიმართავს სომხის ერის საღ ინსტინქტს, პოლიტიკურ გონიერებას და გამჭრიახ [illegible] სულს, ამ იმედით [illegible] და [illegible] იწყებს თავის შემოქმედებით ორგანიულ საქმეს და იმის იმედით, რომ მას ზურგს გაუმაგრებს მთელი ერის ნდობა, ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება“.

## პატარა ფელეტონი

„Вокругъ да около“

ჩვენ ხალხში ერთი ზღაპარია გავრცელებული, რომლის გმირიც, [illegible] მეფის შვილი, მიდის ბედის საძიებლად. წავა დასავლეთისკენ, ივლის, ივლის და ისევ თავის მამის ნაღვლით სავსე ცარიელ სასახლესთან მივა. წავა ახლა სხვა მხრით და ივლის ამბავი... ივივე გზა... ივივე აცრემლებული მამის სახლი...

ზღაპარი მომეწონა.

გადავთარგმნე.

ერთს ჩემ რუს მეგობარს ვაჩვენე თარგმანი, რომელმაც წაიკითხა და მითხრა:

ამაზე რუსები იტყვიან ხოლმე

„Вокругъ да около“—ო.

ეს სიტყვები ძალიან მომეწონა და... დამავიწყდა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ რაც ეს ამბავი მოხდა.

და მხოლოდ მაშინ გამახსენდა როცა ერთი ზღაპარი ჩემს თვალ წინ მოხდა.

ამ ზღაპარს აქ მოვიყვან:

ის ძალიან ლამაზია და, რაც უფრო საგულისხმოა, ის „სოციალისტურია“.

დიახ!

აი ზღაპარიც:

მეფე ნიკოლოზის ქალიშვილები ბედის საძიებლად წავიდნენ აღმოსავლეთისაკენ:

ციმბირულ ცხენი პავლე რასპუტინს მიჰმართეს,—

მაგრამ ეგრედ წოდებული წყეული „ხანდრა“ ეგრ მოიშორეს თავიდან და მათ სულშიც ისეთივე ანარქია გამეფდა, როგორც მათს სამფლობელოში.

ომმა იფეთქა...

მილიუკოვის წინამძღოლობით სამხრეთით ბოსფორ-დარდანელისაკენ გაეშურნენ,—

მაგრამ...

იმავ გზით უკან დაბრუნდნენ...

შემდეგ...

[illegible] მოიყვანო მემარცხენეს [illegible]:

„მაშინ-კი სთქვეს მეფემან და მისმა ყმამა:

გერმანეთს სიცოცხლის არ მოვუსპობთო...

უნდა მალე გათავდეს ომი...

ამიტომ...

მალეც უნდა დავამარცხოთო...

და გაისმა კიდითა კიდემდე ქვეყნისა.

„გაუმარჯოს ომს“!

ჟამსა ამისა შემდეგ მოხდა საკვირველებანი [illegible]. განიმარტებოდა [illegible] მიწისა, გარნა თუ [illegible] მარცხენის, ხოლო მეორე—მარჯვნივ...

და მარჯვენასა მისსა [illegible] დების ბურჟუაზია, ხოლო მარცხენასა მისსა—ბოლშევიკები...

გაპობილსა ადგილსა შინა [illegible] [illegible] ქვეყნისა [illegible] ციმბირულისა.

ხოლო გაპობილსა ადგილსა, ჯერ არ შეკრულსა ზღუდეებითა გაიმართნენ სახელმწიფოს საშველად ხალხნი, წოდებულნი მემარჯვენი ესერებად, ობორონცებად, ედინსტვოდ.

და ყრმა ერთი მათგანი

წოდებული კერენსკიდ,

აღიმართა სვეტად ცხოველად

და რქვა:

„და გაწყურია სათნოება და სიმშვიდე ქვეყანასა ზედა, ვითარცა საჭიროა შეგქმნათ სიმშვიდე.

ხოლო ამისთვის გვეჭირვება მტრის დამარცხება!“...

და კვლავ მოიცვა არე-მარე ძახილმა ზახილმა და ძალოვანმან...

„კვლავ გაუმარჯოს ომს“-ო!

მაშინ აღმოჩნდა კიდურსა [illegible] მარცხენისა მოყმე უცხო ვინმე და ხალხისადმი ღაღადებდა:

მშიერნო!

ცდუნებად ჰყვებარ თქვენდა ძმათა, მარჯვენის [illegible], ომს ომი უნდა, ხოლო მტერთან ჰზავს სიმშვიდე და ძმობილება. ომისა მათ სწადიათ, პირი იბრუნეთ და მათ გაგდებ[illegible]ნეთ ომისა მსურველთ“...

ამით თავდება მატიანე.

ხოლო შემდეგ, რაც მოხდა, მისი გონებაშიც აღდგა აღვილია:

„ყრმა იგი უცხო ვინმეს“, [illegible], მემარცხენე უწოდებს ლენინს, რომელმაც რაკი [illegible] მშიერნი მიუსია და დაიპყრო [illegible].

ხალხი ღელავდა, მშიერთ უხაროდათ,

ომი გათავდებაო,

მაგრამ მემარცხენეს სიტყვით, რომ გადმოგვცა,

და ყმამ მან უცხომ ჟამისათვის, ჯარსა მშიერთადმი რქვა:

„მშიერნო,—[illegible]!

ხოლო [illegible], რომელმაც ვისწრაფვით სიმშვიდისა ქვეყნისათვის, არ იფიქროს ვითარცა ომის შენება შეწყვეტა და [illegible] კვლავ [illegible] მტერსა მისს რა და ძალოვან[illegible]“.

და შემდეგ ყმამან:

„გაუმარჯოს სასტიკ მტერთან ბრძოლას“!

და იგი ზახილი, ვით დრუბელი ცასა შიგან დაეკიდა...

ხოლო ჯარი მშიერთა შთაიცვა მწუხარებამ“...

და ასე ქვეით..

ის ზღაპარი კვლავ მეორდება...

ფელიქს

## დამფუძნებელ კრების

### დროებით მთავრობის დადგენილება

დროებითმა მთავრობამ, განიხილა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შემდგენელი საგანგებო საბჭოს პროექტი და დაადგინა:

I. დამტკიცდეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების პირველი განყოფილება (I—V თავი) რომლითაც დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შემადგენელ საგანგებო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება ეძლევა შეიმუშაოს და დროებით მთავრობას წარუდგინოს ამ დებულების დანარჩენი განყოფილებანი, არჩევნების წესს ლაშქრისა და ფლოტისათვის და აგრეთვე წესები დადგენილების იმ გამონაკლისებზე, რომლებიც მოხსენებულია ზემოხსენებულ დებულების III—V თავში და რომლებიც საჭირო იქნება რუსეთის სხვა და სხვა ადგილებისათვის.

II. საარჩევნო სიების შესადგენად საჭირო წინასწარი სამუშაო დაევალოს იმ სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს, რომელთაც აღნიშნავს დროებითი მთავრობის განსაკუთრებული დადგენილებანი.

III. დამფუძნებელ კრების არჩევნები რომ მალე მოხდეს და კარგათ წარიმართოს, მისი ტეხნიკურათ მოწყობა დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

IV. იმ გაუგებრობის გადასაწყვეტად, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების [illegible] დროს, შედგენილ უნდა იქმნეს სენატის პირველ დეპარტამენტის 5 სენატორისაგან შემდგარი განსაკუთრებული საკრებულო; ამ საკრებულოს დადგენილება, რომ კანონიურად ჩაითვალოს, საკრებულოს სხდომას სამი სენატორი მაინც უნდა დაესწროს. განსაკუთრებულ საკრებულოსთან არსდება კანცელარია მოსამსახურეთა სათანადო რიცხვით.

V. დაუყოვნებლივ მოხდენილ იქმნეს არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის მტრისაგან დაჭერილ გუბერნიებში, იმ ტერიტორიის გარდა, რომელიც მომავალ პოლონეთის სახელმწიფოში შევა, რა წამსაც კი იმ გუბერნიებს მტერი დასცლის. ამასთან მათი დეპუტატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ გუბერნიებისათვის დროებით მთავრობის მიერ დადგენილ დეპუტატების რიცხვს.

VI. დადგენილ იქნას შემდეგი გარდამავალი წესები:

1) სანამ ადგილობრივათ დაწესდებოდეს საგუბერნიო და სამაზრო საერობო, და საქალაქო და სასოფლო თვითმართველობანი, თანახმად დროებით მთავრობის დადგენილებისა, დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეთა კომისიების წევრთა მაგიერ და აგრეთვე მათგან არჩეულ (დებულების მე-15, 17, 18 20 და 21-ე მუხლი) საუბნო საარჩევნო კომისიებს

წევრების ნაცვლად დროებით დაინიშნებიან ისინი, რომელთაც დროებით მთავრობის მიერ აღნიშნულნი ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებები და ორგანიზაციები აირჩევენ.

2) საოლქო სასამართლოების ადმინისტრატიულ განყოფილებათა დაარსებამდე, ის მოვალეობა, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების მიერ ხსენებულ განყოფილებათა თავმჯდომარესა და წევრებს ევალებათ აღსრულებულ იქმნეს საგუბერნიო (საოლქო) ქალაქებში საოლქო სასამართლოების თავმჯდომარის ამხანაგებისა და სამოქალაქო განყოფილებათა წევრთა მიერ.

3) სანამ ადმინისტრატიული მსაჯულები თანამდებობაზე შეუდგებოდენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების მიერ მათზე დაკისრებულ საქმეებს საოლქო სამმართველოს მაზრის წევრები შეასრულებენ. ხოლო სადაც ისინი არ იქნებიან—ადგილობრივნი მომრიგებელნი მოსამართლეები, რომელთაც მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა ანდა მის მაგიერი დაწესებულება ამოირჩევს.

VII. ეს დადგენილება სენატის მიერ გამოქვეყნებამდის იქმნას მოქმედებაში შეტანილი.

### პირველი განყოფილება.

### თავი I

### საერთო დებულებანი.

დამფუძნებელი კრება შესდგება იმ წევრთაგან, რომელნიც საყოველთაო და თანასწორ საარჩევნო წესით იქნებიან არჩეულნი. არჩევნები მოხდება პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით და პროპორციონალურ წარმომადგენლობის გამოყენებით.

2. დამფუძნებელ კრების წევრთა ასარჩევად ქვემოხსენებული ოლქები შესდგება:

**გუბერნიები:** ალთაიისა, არხანგელსკისა, ასტრახანისა (თერგის ოლქის ყალმიკელებით დასახლებულ ყალმიკთა ტრამალისა და შინა ორდის ყირგიზელების გარდა), ბესარაბიისა, ვიტებსკისა, ვლადიმირსკისა, ვოლოგდისა, ვილინსკისა (მტრის მიერ დაპყრობილ ადგილების გარდა), ვორონეჟისა, ვიატკისა, ეკატერინოსლავისა, ენისეისა, (ურალის მხარეში მცხოვრებ მოქალაქეებით) ირკუტსკისა, ყაზანისა, ლიფლიანდიისა (მტრის მიერ დაპყრობილ კურლიანდიის გუბერნიის ნაწილებითურთ), მინსკისა (მტრის მიერ დაპყრობილ ნაწილების გარდა და მტრის მიერ დაპყრობილ ვილენის და კოვნოს გუბერნიების ნაწილებით), მოგილევსკისა, მოსკოვისა, (ქალ. მოსკოვის გარდა), ნოვგოროდისა, ნიჟეგოროდისა, ოლონეცისა, ორენბურგისა, ორლოვისა, პენზენისა, პერმისა, პეტროგრადისა (ქალ. პეტროგრადის გარდა) პოდოლისა, პოლტავისა, პსკოვისა, სამარისა, სარატოვისა, სიმბირსკისა, სმოლენსკისა, სტავროპოლისა (თერგის ოლქის კარნოგაისის საბოქაულოთი), თავრიდისა, ტამბოვისა, ტვერისა, ტობოლსკისა, ტომსკისა, ტულისა, უფიმისა, ხარკოვისა, ხერსონისა, ჩერნიგოვისა, ესტლიანდისა და იაროსლავისა, და ოლქები: დონის ყაზახთა, ზაბაიკალისა, ზაკასპიისა, (მანგიშლოვსკის მაზრის გარდა, მხოლოდ ამ მაზრის თურქმენებით დასახლებულ სოფლის საზოგადოებებით), კამჩატკისა, სამარყანდისა, სემირეჩენსკისა, სირდარიისა (ამუ-დარიის განყოფილების გარდა), თურგაიისა, ურალისა (მანგიშლაკის მაზრით, თურქმენების სოფლის საზოგადოებათა გარდა), ფერგანისა და იაკუტსკისა—თვითეულ საარჩევნო ოლქს შეადგენენ.

პეტროგრადი და მოსკოვი თვითეულ საარჩევნო ოლქად ჩაითვლებიან.

ამის გარდა არსდება საარჩევნო ოლქები: **ამუ-დარიისა**, რომელშიაც შედიან სირდარიის ოლქის ამუ-დარიის ნაწილი; **ამიერ-კავკასიისა**, რომელშიაც შედის გუბერნიები: ბაქოსი, განჯისა, ქუთაისისა, თბილისისა და ერევნისა, ბათომისა, ყარსისა, სოხუმისა და ზაქათლის ოლქები; **ყუბანი-შავი-ზღვისა**, რომელშიაც შედის—ყუბანის ოლქი და შავი ზღვის გუბერნია; **თერგისა და დაღესტნისა**, რომელშიაც შედის ოლქები—თერგისა (გამოკლებით ყარა-ნოღაელთა საბოქაულოსი და აიმაკისა, დასახლებული ყალმიკებით) და დაღესტნისა; სტეპნოი ოლქი (Степной округъ), რომელშიაც შედის აკმოლინისა და სემიპალატინის ოლქები; **ურდოსი**, რომელშიაც შედის ასტრახანის გუბერნიის ნაწილი, დასახლებული შინა ურდოს მომთაბარე ყირღიზებით; **ამურის მხარისა**, რომელშიაც შედის ამურისა, ზღვისპირისა და სახალინის ოლქები; **კასპიის მხარისა**, რომელშიაც შედის ნაწილი ასტრახანის გუბერნიისა, დასახლებული მომთაბარე ყალმიკებით და **ჩინეთის** აღმოსავლეთ რკინის გზის ოლქი, რომელშიაც შედის ამ რკინის გზისთვის მიჩენილი ზოლი. იქვე წარმომადგენელთა განისაზღვრება ცალკე. საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო ნაწილებად.

### თავი II.

### საარჩევნო უფლება.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ ყველა იმ ორივე სქესის მოქალაქეთ, რომელნიც კი არჩევნების დღეებამდის 20 წლისანი შესრულდებიან.

შენიშვნა: არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ აგრეთვე იმ სამხედრო პირთაც ვინც არჩევნების დღეებში იმ ხნისა ხდება, რა ხნისანიც ამ უკანასკნელად ვადაზე ადრე გაწვეულნი პირნი იყვნენ.

4. არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ: კანონიერ წესით ჭკუაზე შემცდარად, ანუ შეშლილად და აგრეთვე სხვათა მზრუნველობაში მყოფნი ყრუ-მუნჯნი.

5. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ერთმევათ:

1. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენით დასჯილებს, თუ მათ ადრევე არა აქვთ აღდგენილი სრულ უფლებიანობა.

ა) კატორღით დასჯილებს, სასჯელის მოხდიდან 10 წლის განმავლობაში.

ბ) გადასახლებულებს, ტუსაღების გამოსასწორებელ განყოფილებაში და გამასწორებელ სახლებში ჩასმულებს, სატუსაღოში თუ ციხეში მყოფთ, და უფლება აყრილთ, ანუ უფლება-შეზღუდულთ—სასჯელის მოხდიდან 5 წლის განმავლობაში.

2) ქურდობისათვის დასჯილებს, ისეთების გარდა, ვინც დანაშაულობისათვის მომრიგებელ მოსამართლისაგან სასჯელთა წესდების 171 მუხლის მე-2 პუნქტით არიან დასჯილები (კანონთა კრებული მე-15-ე ტომი 1914 წ. გამოცემა) ვერაგობისათვის და ჩაბარებულ ქონების მისაკუთრებისა და გაფლანგვისათვის დასჯილებს, იმ გამფლანგველთა გარდა, ვინც ამავ წესდების 177 მუხლის მე-2 ნაწილის და სისხლის სამართლის და გამოსასწორებელ სასჯელთა დებულების 1681 მუხლის მე-2 ნაწილის (1912 წ. გამ.) ძალით არიან დასჯილები, (კან. კრებ. მე-15 ტომი), აგრეთვე მათ, ვინც მოპარულის გადამალვისთვის არიან დასჯილები, მათ, ვისაც ხელობად გადაქცევია გირაოების აღება და აშკარა ნაქურდალის ყიდვა, ვინც დასჯილია მოტაცებისათვის, მევახშეობისათვის, სიყალბისათვის, მექრთამეობისათვის, ქრთამის მიცემისათვის, გარყვნილობისათვის და გამოუსადეგრობისათვის დასჯილებს (კან. კრებ. ტ. მე-15, სისხლ. სამ. დებულებანი, გამ. 1909 წ. მე-524—526, 526¹, 527 და 529 მუხლები) და აგრეთვე საკანონმდებლო და თვითმართველობის ორგანოების არჩევნებში განზრახ ხელის შემშლელებს—სასჯელის მოხდიდან 3 წლის განმავლობაში.

3) სასამართლოს განმარტებით ვალის გადახდის ვერ შემძლებლად ცნობილებს და ბოროტ განზრახველობით გაკოტრებულებს—3 წლის განმავლობაში დღიდან სასამართლოს დადგენილებისა.

4) თავის ნებით ჯარიდან წამოსულ სამხედრო მოსამსახურეთ (დროებით მთავრობის დადგენილება 1917 წ. მაისის 26, კანონთა კრებული 683 მუხლი, და ბრძანება ლაშქრისა და ფლოტისადმი 1917 წლის მაისის 31 —№ 17) იმათ გარდა, ვინც საარჩევნო სიების საჩივრების განხილვამდის ან შესაწყნარებელ მოწმობას წარადგენენ, ან დანაშაულის სამსახურში მხნეობით გამოსყიდვებს, ან და სასამართლოდან გასასამართლებელ განაჩენსა თუ ისეთ სასჯელის მოწმობას წარუდგენენ, რომელიც მას უფლებას არ უსპობს.

6. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეყრებათ აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთ, რომელნიც კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებით დამნაშავეებათ არიან ცნობილნი იმ მოქმედებაში, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 162 მუხლის ნაწილი და 163 მუხლი. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. წიგნი 22, გამოც. მე-4) და სასჯელთა საზღვაო წესდების 162 მუხლი მე-3-ე ნაწილი და 163 მუხლი (საზღვაო დადგენილებათა კრებული, წიგნი 16 გამ. 1915 წ.) შეეხება. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეყრებათ აგრეთვე იმ მოქმედებებში დამნაშავეთ, რომელთაც სასჯელთა სამხედრო წესდების 165₁ მუხლი და სასჯელთა საზღო წესდების 165, მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს, იმ შემთხვევაში თუ დამნაშავეთათვის ნებით არ შეავსებს აგის მიერ გაფლანგულსა და დახარჯულს. (სამხედრო დადგენილებათა კრებული 1869 წ. 22 წიგნი გამოცემა მე-4, 168 მუხლი და საზღვაო დადგენილებათა კრებული წიგნი 16 გამოცემა 1915 წ. 167 მუხლი) ან და სასჯელის გადახდიდან 3 წელიწადი არ გასულა. იმ სამხედრო პირებს, რომელთაც სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი ომის გათავებამდის აქვთ გადადებული, არჩევნებში მონაწილეობის უფლებაარ ერთმევა.

7) საარჩევნო უბნის თვითეულ არჩევნებში მონაწილეობის ნება მხოლოდ უბნის საამომრჩევლო სიაში შეტანილ პირებს აქვთ.

8) არჩევნებში მონაწილე პირებს უფლება აქვთ ამოირჩეულნი ყვნენ თვითეულ საამომრჩევლო ოლქში თუნდაც ის სხვა ოლქის საარჩევნო სიაში სულაც არ ინიშნებოდნენ.

9) არჩევნებში არ დაუშვებენ იმ საამომრჩევლო სიებში შეტანილებს, რომლებიც არჩევნების დროს საამომრჩევლო უფლებას დაჰკარგავენ მე-4 და მე-5 მუხლი) და აგრეთვე ისინი ვინც ნაჩვენებ დროისთვის თავისუფლება აყრილნი იქნებიან კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს განაჩენებით ან და რომელიმე დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ დატუსაღებით.

10) რუსეთის ყოფილ მეფის სახლის წევრები ვერც არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას და არც მათი არჩევა შეიძლება დამფუძნებელ კრებაში.

## ქართული გიმნაზია ჯავახეთში

რას წარმოადგენდა აქამდის ჯავახეთის ქართველობა განათლება-კულტურის მხრით? რამდენად იყო გავრცელებული მის მთა-მინდვრებზე ქართული ენა და საზოგადოდ ქართული სული? ჯავახელი ქართველი პირდაპირ მოკლებული იყო ქართულ სწავლა-განათლებასა და, თუ რომელიმე ახალგაზდა ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელს ათავებდა, რა გამოდიოდა მისგან? მხოლოდ და მხოლოდ რუსი მოხელე, სოც ამ ფოსტისა, ან და ხაზინისა. სოფლის გლეხის შვილი მარტო სოფლის სკოლას ძლივს დაამთავრებდა ხოლმე, რომელიც ძველს უკულმართ დროს სრულებით არაფერს აძლევდა მას, გარდა გარუსებისას. უმრავლესობა ამ გარუსებულ სოფლის სკოლით კმაყოფილდებოდა. იშვიათი მოვლენა იყო, თუ სოფლელი ახალგაზდა სწავლას გააგრძელებდა.

ახლა საქმე სულ სხვანაირად იქმნება დაყენებული. უკვე განზრახულია ჯავახეთში ქართულ გიმნაზიის დაარსება. ბევრს იქნება გაუკვირდეს სად ჯავახეთი და სად ქართული გიმნაზია? მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც ისე უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენს ქართველობა ჯავახეთში, როგორც ეს საზოგადოდ ცნობილია ფართო მასაში. დანამდვილებით ვიცით რომ ქართველი ქრისტიანები: მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და გრიგორიანელები, ქართველი მაჰმადიანები და ქართველი ებრაელები 20 ათასამდე არიან მცხოვრებნი ახალქალაქის მაზრაში.

ეს ამოდენა სხვა და სხვა სარწმუნოების ქართველობა წმინდა ქართულ ეროვნულ სასწავლებელს მოკლებული იყო, გარუსების და გასომხების გზაზედ იდგა. მეტადრე ეხლა, როცა თითქმის ყველა სასწავლებლები ჯავახეთში, ნაციონალიზაციის გამო სულ გასომხეს.

ჯავახეთის ქართულ გიმნაზიას დიადი საშვილიშვილო საქმე ექნება გასაკეთებელი, იგი ქართულ ენის და სწავლა-განათლების კერად გახდება, მან ღრმად და მტკიცედ უნდა გაატაროს ცხოვრებაში ჯავახელ გადაგვარებულ ქართველების რენაციონალიზაცია.

ამიტომ ჩვენ დიდის აღტაცებით და დახმარებით უნდა შევხვდეთ ამ გიმნაზიის დაარსებას, ნივთიერად თუ ზნეობრივად უზრუნველ ვყოთ, რათა ეს ფრიად სასარგებლო საქმე ეხლავე იყოს განხორციელებული და არ გადაიდოს განუსაზღვრელ დროისთვის.

რასაკვირველია, ბევრი მტერი გამოუჩნდება მას თვით ახალქალაქში, მაგრამ ამით ჩვენ არ უნდა შევშინდეთ და მხნედ მოვეკიდოთ ამ საქმეს მის კეთილ დაგვირგვინებისთვის.

ამ გიმნაზიის დაარსებას, ვიმეორებ, დიადი ეროვნული მნიშვნელობა აქვს: იგი შემოიკრებს თავის გარშემო იდესღაც ძლიერ ზემო-ქართლის ოლქებს და მაზრებს: არტაანისას, ახალციხისას, ახალქალაქისას და იქნებ ბორჩალოსაც.

აქაურ ქართველ მაჰმადიანებს უფრო ესაჭიროებათ ეროვნული სასწავლებელი, რომელიც გააღვიძებს მათში ეროვნულ გრძნობას და შეაგნებინებს, რომ რჯული სხვაა და ეროვნება სხვა.

საჭიროა, ეს საქმე უეჭველად მოეწყოს მოკლე ხანში და ყველა ქართულ, კულტურულ დაწესებულებებმა და საზოგადოებებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ მას.

ეჭვს გარეშეა, რომ ის მხარე, რომელმაც მსოფლიო გენიოსი შოთა რუსთაველი, სახელოვანი სარდალი სარგის თმოგველი და წმ. გიორგი მთაწმინდელი წარმოშვა, არ უნდა იყოს მოკლებული შემოქმედებითი უნარს და ენერგიას. ეს ზემო-ქართლი (სამცხე-საათაბაგო) საუკუნოების განმავლობაში სადღაც ძილს მისცემია. ეხლა-კი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებასთან ერთად იგი იღვიძებს და ახალ ცხოვრების სარბიელზე იმასაც ჰსურს ღირსეული ალაგი დაიკავოს.

შ. ალხაზიშვილი.

## ხალხის ჯანმრთელობისათვის

ყოველ ადამიანისთვის დღეს ნათელი უნდა იყოს, რომ ამ დროის საბრძოლველად ყოველივე ერის ბედნიერების წყაროს შეადგენს მისი კულტურა და ეკონომიური წარმატება და აღმაღლება. განა შეიძლება პატარა ერმა საქვეყნო საერთაშორისო საკითხებში ითამაშოს ისეთი როლი როგორც დიდმა სახელმწიფოებმა? არა, მაშ რა უნდა დაუყენოს წინ პატარა ერმა, რომ პატივი სცენ და მისი მოთხოვნილებები ბანზე არ აგდონ? უსათუოდ საკუთარი კულტურა და ძლიერი ეკონომიური მხარე. აიღეთ, მაგალითად, ერთის მხრით ბელგეთი, მეორე მხრით შვეიცარია. რად უწევენ ანგარიშს მას? რად და იმიტომ, რომ სწორედ ზემოდ აღნიშნული მხრით არიან ისინი ბედნიერნი. თუ ამ ერებმა თითქმის [illegible] ფეხქვეშ ეს სიმდიდრე ისიც იმ დროს, როდესაც მათ ცხოვრების პირობები და ბუნებაც მაინცა და მაინც არც ისე რიგად უწყობდა ხელს, მაშ რა უნდა ყოფილიყო კავკასია და კერძოდ საქართველო, თუ კი შესაფერი გარჯილობა და გამჭრიახობა ყოფილიყო? მაგრამ სად არის. უცხონი შემოგვნატრიან და ჩვენ კი ასე დარიბები ვართ. მ. კოვალევსკი პირდაპირ აღტაცებაში მოდიოდა ჩვენით, იმანაც განიმეორა მრავალთაგან თქმული და დადასტურებული სიტყვა, რომ საქართველოში ღმერთს თავისი უხვი კალთა დაუბერტყნია, მაგრამ მითხარით, როგორ და რით გამოვიყენეთ ეს სიმდიდრე? არაფრით. ნივთიერად ხელმოკლენი ვართ, პოლიტიკურად შებორკილნი, კულტურულად ჩამორჩენილნი და განათლებით თითქმის ერთს წერტილზე შეყინულნი.

მე არ შევეხები თვითეულს დარგის გამოკვლევას, გაკვრით შევეხები ერთს მხარეს, ერისა და საზოგადოდ ხალხის ჯანსაღობას. ამისკენ ილტვის ყოველი ერი. მაგრამ სტატისტიკა გვეუბნება, რომ ყველაზე მეტი სწორედ ჩვენში იხოცება. პროპორციით თუ ავიღეთ, ამ მხრივ აზიის ერებს მაინცა და მაინც არა ვჯობივართ. რად? იქნებ ბუნება არ გვიწყობს ხელს? რა ბრძანებაა! თქვენ მოვლა ბრძანეთ, თორემ ამისთანა ბუნებით ადამიანი ქვითკირი უნდა იყოს. სამწუხაროდ ეს კი ასე არ არის ჩვენში. სანიტარული მდგომარეობა მასისა თითქმის კრიტიკის გარეშეა. ჩვენ არა გვყავს სათანადო ექიმთა რიცხვი, ფარმაცევტების სათანადო რაზმი, არ ვხედავთ მათს კავშირს, სოლიდარულს მოქმედებას. ამიტომაა, რომ მთელი ხელსაწყონი და წამლეულობა სულ უცხოთა ხელშია, სოფელი უპატრონოდ მიგდებულა და ქალაქიც მეტ წილად უცხოელების ჩაგვიგდია ხელში, მაშინ როდესაც ქართველი ერი ამ მხრივ უბედნიერესი და უზრუნველი უნდა იყოს. ვინ არ იცის, თუ ნედლი საფეთიაქო მასალა რაოდენი გაგვაქვს ჩვენგან უცხოეთში და ისიც კარგად ხომ ვიცით, რა სახით და რა მამასისხლად გვიფასებენ მათს შემოტანას?

სამწუხაროდ ქართველი ერი თანდათანობით ილევის. როგორც ყოველ დარგში, ისე აქაც ჩანს გამოღვიძების დასაწყისი. აგერ, ქუთაისში დაარსებულა ამიერ-კავკასიის საექიმო-[illegible] საზოგადოება, საფეთიაქო [illegible] საქართველოსთვის, რომელიც [illegible] იწყებს საქმეს [illegible]. [illegible] ჯანმრთელობის [illegible] საზოგადო [illegible] პრაქტიკულ [illegible] გადასახადებლად.

დ. კალანძე.

## საქონლის ქირი დასავლეთ საქართველოში

საქონლის ქირთან ბრძოლის უნაყოფობის და თვით სენის გაძლიერების საფუძვლად დადგა შემდეგი გარემოებანი: [illegible] შრატის [illegible] დასავლეთ საქართველოს საქონლისთვის, შრატის დამამზადებელ სადგურის მოუწყობლობა, ტრანსპორტის [illegible] და კიდევ ზოგიერთი ადგილობრივ, გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები.

ყველა ამ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად და აგრეთვე ზოგიერთ საადმინისტრაციო საკითხების გადასაწყვეტად აპრილში ქუთაისში შედგა დასავლეთ საქართველოს ბეითალთა ყრილობა, რომელზედაც ბეითალმა ე. ფარცვანიძემ მოხსენება წაიკითხა საქონლის ქირთან ბრძოლის შესახებ.

მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებლად საჭიროა ქუთაისში ზურნაბადის შრატის დამამზადებელ სადგურის განყოფილების გახსნა. იქვე მოყვანილი იყო ხარჯთ-აღრიცხვა. მომხსენებლის აზრით შრატის სადგური უნდა [illegible] ხარჯის უდიდესი ნაწილი, რომელიც სადგურის [illegible] დასჭირდება, [illegible] ხარჯიდან უნდა [illegible].

მაგრამ ვიდრე ეს საკითხი გადაწყვეტილი [illegible] სადგური [illegible] საქონლის ქირი [illegible] ბეითალების [illegible].

ამიტომ მომხსენებელმა საჭიროდ სცნო:

[illegible]

ეს იქნებოდა საჭირო ზომა, რომელიც [illegible] ბეითალები.

ამას გარდა, მომხსენებელმა [illegible].

[illegible]

[illegible] ზურნაბადის სადგურის [illegible] მოხსენება.

ზ. ბ—ლი.

## კორესპონდენცია

### ზუგდიდიდან

როგორც მთელ-საქართველოში ისე ქ. ზუგდიდშიაც სურსათის კრიზისი [illegible].

არ არის პური, არ არის სიმინდი, არ არის სხვა სურსათ-სანოვაგე [illegible] არ არის [illegible].

[illegible]

უწინ [illegible] მოგვდიოდა პური და თუ ჩვენ არ გვყოფნიდა, [illegible] ლი პურით [illegible] თავს, მაგრამ [illegible] პური ხელიდან [illegible] მათ ჯარის [illegible].

[illegible] სურსათის [illegible] ახალ-სენაკში [illegible] რუსის ჯარის კაცები.

ეს ჯარის კაცები მაშინ გამოგვიგზავნეს, როდესაც ჩვენთვის არ მოგვეპოვება სურსათ-სანოვაგე და [illegible].

დღეს აქ ერთი გირვანქა პურის გამოსაცხობი ფქვილი არ მოიპოვება. მცხოვრებლები დიდს გაჭირვებას განიცდიან. თვით ტუსაღები, რომელნიც [illegible] არიან [illegible], დილიდან საღამომდის [illegible] რჩებიან. ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან თვით ახლად დანიშნული ჯარის კაცები და ყაზახები, [illegible].

და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც შეეძლოთ ეს ჯარის-კაცები გაეგზავნათ იმ ადგილებში, სადაც მოიპოვება პურით სავსე ბეღლები. შეიძლებოდა მაგრამ...

თავი დავანებოთ [illegible]. ეს სენი არ არის ახალი, მაგრამ აღმაშფოთებელია ის მოვლენა, რომ ჯარის კაცებმა ხელი მიჰყვეს მშვიდობიან მცხოვრებთა დარბევა-აწიოკებას.

რამდენიმე დღის წინად გამხეცებულმა ყაზახებმა ღამით გასტეხეს თ-დ [illegible] დადიანის დაკეტილი სასახლე. ამ სასახლეში ინახებოდა როგორც ძველი ისტორიული ნივთები, ისე სახლის [illegible]. ერთი ოთახი სრულიად გასძარცვეს. [illegible]

ასევე მოიქცნენ ჯარის კაცები [illegible]

ამას მოითხოვს მთელი ოდიშის ხალხი და ხალხის მოთმინებაც დაკმაყოფილებულ უნდა იქმნეს.

ან. ნარი.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

პარასკევი, გიორგობისთ. 3

**ქართვ.** წმიდ. მოწ. [illegible] ეპისკოპოზისა, იოსებ ხუცისა და აითალა დიაკვნისა. [illegible]

**კათოლ.** [illegible]

**მაჰმად.** ჯუმა 30 [illegible] 1336 წ. [illegible]

**ებრაელ.** [illegible] 2 [illegible] 5678 წ. [illegible]

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

[illegible]

[illegible]

| | | |
|---|---|---|
| [illegible] | № 5, | 11.32 |
| [illegible] | № 9, | 11.28 |
| [illegible] | № 19, | 8.17 |
| [illegible] | № 17, | 8.19 |
| [illegible] | № 6, | 8.51 |
| [illegible] | № 4, | 8.46 |
| [illegible] | № 4-8, | 12.15 |
| [illegible] | № 10, | 2.55 |
| [illegible] | № 4, | 7.41 |
| [illegible] | № 20, | 7.7 |
| [illegible] | № 18, | 9.50 |
| [illegible] | № 8, | 10.26 |
| [illegible] | [illegible] | 10.30 |
| [illegible] | [illegible] | 7.53 |

სტამბა [illegible] შესახვევი № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო.“